

საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის
სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

მანანა წერეთელი

**დეპორტირებული მესხების ეთნიკური
იდენტობის პრობლემა (სამხრეთ
საქართველოს მაგალითზე)**

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(კვალიფიკაციის კოდი 0314.1.7)

თბილისი

29.11.2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა სკოლაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი - თინა ლუდუშაური,
დოქტორი(ეთნოლოგია/ანთროპოლოგია), პროფესორი
ოფიციალური ექსპერტები:

ქეთევან ხუციშვილი- დოქტორი,

(ეთნოლოგია/ანთროპოლოგია), თსუ

ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ნინო ჩიქოვანი- დოქტორი(კულტურის კვლევები), თსუ

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 21 დეკემბერს

15.00 საათზე

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს

უნივერსიტეტი, #519 დარბაზი

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2021 წლის 29.11.2021

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ნათია მანჯიკაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

საკვლევი პრობლემა აქტუალურია, რამდენადაც, მიუხედავად ჯერ კიდევ 1999 წელს, ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას, საქართველოს მიერ აღებული დეპორტირებული მესხების რეპატრაციის და ინტეგრაციის განხორციელების ვალდებულებისა, ეს პროცესი განსაზღვრულ ვადებში ვერ განხორციელდა ან განხორციელდა გარკვეული ხარვეზებით. შესაბამისად, დეპორტირებული მესხების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა კვლავ დგას სახელმწიფოს წინაშე, მათი იდენტობის თავისებურებები კი ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია ინტეგრაციის პროცესში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევის მიზანია, ემპირიული კვლევითი მონაცემების თეორიულ სამეცნიერო პოზიციებთან შეჯერებით, გამოავლინოს ის ძირითადი ფაქტორები/მარკერები, რომლებიც განაპირობებენ დეპორტირებულ და რეპატრირებულ მესხებში იდენტობის ფორმირებას, შეცვლას ან შენარჩუნებას; მოახდინოს მათი იდენტიფიცირება/კატეგორიზება ღირებულების და კონკრეტული ფუნქციების შესაბამისად რეპატრიანტთა იდენტობის შენარჩუნების ან/ და ცვლილების პროცესში; მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოაქციოს ისინი რელევანტურ სამეცნიერო-თეორიულ ჩარჩოში.

კვლევა აიგო შემდეგი ჰიპოთეზების მიხედვით:

პირადი თუ ჯგუფის ისტორია, რეგიონისა და მსოფლიო ისტორიის კონტექსტში შეიძლება გავიგოთ და გავანალიზოთ, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესის, მისი შენარჩუნების, დაცვის თუ ცვლილების თვალსაზრისით;

დეპორტირებული მესხების მიერ მიღებულ და დაჯერებულ ისტორიულ ნარატივს მნიშვნელოვანი როლი აკისრია იდენტობის შენარჩუნების პროცესში;

მათ მიერ ინტერპრეტირებული ისტორია განმსაზღვრელია საკუთარი თავისა თუ ჯგუფის წევრების ეთნიკური მიკუთვნებულობის აღქმისას;

დედის როლი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორია დეპორტირებულ მესხებში იდენტობის ფორმირების პროცესში;

წარსულის ნეგატიური მოვლენები შეიძლება გააზრებული იქნას როგორც ერთ-ერთი გამაერთიანებელი მექანიზმი ჯგუფის იდენტობის შენარჩუნებისთვის;

იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია გეოგრაფიული არეალი და მასთან დაკავშირებული ემოციები; სივრცე/ადგილი, რეალური ან წარმოსახვითი მეხსიერების შესაბამისად, განსხვავებულია დეპორტირებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში და შესაძლებელია მისი კატეგორიზება ცალკეული მარკერების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას დეპორტირებულ მესხებში;

სოციალური და/ან კულტურული საზღვრების არსებობა ადგილობრივ მოსახლეობასთან გარკვეულ როლს ასრულებს ჯგუფის იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

დეპორტირებული მესხების საკითხი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლის ობიექტი, თუმცა, მათი იდენტობის თავისებურებები მრავალმხრივი პერსპექტივიდან პრაქტიკულად არ არის გამოკვლეული. ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ დეპორტირებული მესხების იდენტობის პრობლემა გააზრებულია, როგორც მრავალწახნაგოვანი ფენომენი და შესწავლილია მრავალმხრივი პერსპექტივიდან: ისტორიული მეხსიერება(რეალური თუ წარმოსახვითი), ადგილისა და სივრცისადმი დამოკიდებულება, ემოციების (პოზიტიური და ნეგატიური) მნიშვნელობა იდენტობის კონტექსტში, ქალი/დედის ფუნქცია იდენტობის ფორმირების, შენარჩუნების ან ცვლილების პროცესში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის დეპორტირებული მესხების იდენტობის გააზრებისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო თეორიების და მიდგომების ანალიზის შედეგად გამოყოფილი კონცეპტები, რომლებიც იდენტიფიცირებული და კატეგორიზებულია იდენტობასთან დაკავშირებულ ცალკეულ მარკერებთან (ადგილისა და სივრცის მნიშვნელობა, ისტორიული მეხსიერება(კოლექტიური/ინდივიდუალური, ქალის/დედის როლი, ტრავმა და ნეგატიური გამოცდილება) მათი რელევანტურობის თვალსაზრისით.

დეპორტირებული მესხების იდენტობა არ მოიაზრება ნაციონალისტური ან სედენტარისტული პარადიგმის ფორმატში, შესაბამისად, კვლევის საფუძველს წარმოადგენს დაშვება, რომ ამ ჯგუფის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ არა მარტო განსხვავებული იდენტობა, არამედ განსხვავებული წარსულიც.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება, საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად გამოყენებულია კონსტრუქტივისტული /პრიმორდიალისტური პოზიცია, ხოლო მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საფუძველად აღებულია ტრიანგულაციური მიდგომა, რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით უფრო რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს. პრობლემა შესწავლილია სხვადასხვა პერსპექტივიდან და, შესაბამისად, სხვადასხვა მეთოდის (ისტორიულ-შედარებითი, კორელაცია, მიკროისტორიის მეთოდი, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ცხოვრების ისტორია) გამოყენებით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომში დეპორტირებული მესხების იდენტობის ფორმირების/შენარჩუნების და ან ცვლილების საკითხი (სამხრეთ საქართველოს მაგალითზე) შესწავლილია მრავალმხრივი პერსპექტივიდან; გამოკვეთილია დეპორტირებული მესხების იდენტობის კვლევისთვის რელევანტური კონცეპტები და კატეგორიზებულია იდენტობის კონტექსტში მნიშვნელოვანი მარკერების შესაბამისად. ნაშრომი წარმოადგენს დეპორტირებული მესხების იდენტობის განმაპირობებელი ფაქტორების ახლებურ კვლევას იდენტობის/ეთნიკურობის

თანამედროვე თეორიების პრიზმაში არა ნაციონალისტური და/ ან სედენტარისტული პოზიციიდან. ამასთან, ნაშრომში მოხმობილი ორიგინალური საველე კვლევის მასალის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ღირებულია საკითხის კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისთვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

საკითხის კომპლექსური კვლევით მიღებული შედეგები გარკვეულ წვლილს შეიტანს დეპორტირებული მესხების საზოგადოებაში ინტეგრირებასთან დაკავშირებული პრობლემების უფრო რაციონალურ, არგუმენტირებულ და რეალისტურ გააზრებაში. გარდა ამისა, მიღებული შედეგების გამოყენება შეიძლება გარკვეული რეკომენდაციების მოსამზადებლად დეპორტირებულ მესხებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება/გადაჭრის პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 155 გვერდს და შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისგან. დართული აქვს ბიბლიოგრაფია, რესპონდენტების სია და ამონარიდები ინტერვიუებიდან.

შესავალი

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია საკვლევი საკითხის აქტუალურობა, ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი მიზანი და მასთან შესაბამისად დაგეგმილი და

განხორციელებული ამოცანები; განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და ნაჩვენებია ნაშრომის სიახლე; ასევე, მოცემულია საველე კვლევისთვის ფორმულირებული საორიენტაციო კითხვები და ჩამოყალიბებულია კვლევითი ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზები.

I თავი- საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო თეორიების და ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ პრობლემაზე მუშაობის დაწყებისას განისაზღვრა ის თეორიული ჩარჩო, რომლის ფორმატშიც თავსდება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები; გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც თანხვედრაშია სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებთან და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისას სწორედ მათზე გაკეთდა ორიენტაცია. პირველ რიგში განხილულია ზოგადად იდენტობასთან დაკავშირებული სამეცნიერო თეორიები(ჰობსბაუმი, ბრუბეკერი, ვან დერ ბერგი, გირცი, ვებერი, გელნერი, ბარტი, ანდერსონი და სხვები); ადგილისა და სივრცის კონცეფციების თვალსაზრისით წარმოდგენილია ე.სოიას, გ.დერეკის, ჯ.აპადურაის ნაშრომები და პოზიციები; ნაჩვენებია ქართველ მკვლევართა მიერ საკითხის შესწავლის მდგომარეობა და ძირითადი პოზიციები დეპორტირებული მესხების წარმომავლობასთან, იდენტობის ხასიათთან და დეპორტაცია/რეპატრიაციასთან დაკავშირებით(ა.ჯოხაძე, მ.ბერიძე, ლომსაძე, ჯანიაშვილი, შ.ფუტკარაძე, ვ.მოდებაძე

და სხვები); იდენტობის ფორმირების პროცესში მეხსიერების (ისტორიული, კოლექტიური, ინდივიდუალური) ფაქტორის ფუნქციისა და მნიშვნელობის განსაზღვრისთვის რელევანტური მოსაზრებები გაანალიზებულია ი. ლოტმანის, მ.ფუკოს, რ.ეიერმანის, ა.ასმანის, ტ.ჰალბვაქსის, ბ. შვარცის, ჯ. ვანგის, ლ.მალკის ნაშრომების საფუძველზე; იდენტობის ფორმირება/შენარჩუნების პროცესში ქალის/დედის როლის მნიშვნელობასთან დაკავშირებული თეორიები განხილულია ფემინისტური თეორიების ფორმატში და მოიცავს თრინ მინ-ჰას, რიჩოპისა და სოლივანის მოსაზრებებს, თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნირა იუვალ დევისის და ფლოია ანთიასის სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ქალების ეთნიკურ პროცესებში მონაწილეობის ყველაზე მკაფიო გზებს წარმოაჩენს და სწორედ მათზე ორიენტაციით მოხდა ამ საკითხთან დაკავშირებული საველე მასალის განხილვა.

II თავი დეპორტირებული მესხების ისტორია

დეპორტირებული მესხების ისტორია წარმოდგენილია კონკრეტული ქვეთავების სახით და მოიცავს რეგიონისა და მისი მოსახლეობის ისტორიის მოკლე მიმოხილვას VI საუკუნიდან მესხების დეპორტაციის პერიოდამდე; დეპორტაციის პროცესს და მის შედეგებს; განხილულია ფერღანის ტრაგედია და მის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებული მოსაზრებები, ჩართულია ამ მოვლენების

თვითმხილველის მოგონებები და მოტანილია ტრაგედიის
ამსახველი სტატისტიკური მონაცემები; ცალკე ქვეთავშია
განხილული დეპორტირებული მოსახლეობის
საქართველოში რეპატრაციასთან დაკავშირებით ქვეყნის
მიერ აღებული ვალდებულებები, მათი შესრულების
მდგომარეობა და რეპატრაციის პროცესთან
დაკავშირებული პრობლემები, ასევე ქართული
საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება
დეპორტირებული მესხების რეპატრაციის მიმართ;
დამოუკიდებელ ქვეთავადაა გამოყოფილი
დეპორტირებული მოსახლეობის უფლებრივი
მდგომარეობის ამსახველი ნაწილი. ამავე თავში ქვეთავის
სახითაა წარმოდგენილი ნარატივები დეპორტირებული
მესხების ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით,
კერძოდ მათი ისტორიული მეხსიერება, ისტორიის აღქმა და
ინტერპრეტაცია, რომელიც გაანალიზებულია ისტორიის
პოსტ მოდერნისტული ხედვის პერსპექტივიდან და
მისადაგებულია ი. ლოტმანის მოსაზრებას ე.წ.
არარეალიზებული/უარყოფილი სოციოპოლიტიკური
მოდელების შესახებ.

*III თავი: გეოგრაფიული არეალისადმი
მიკუთვნებულობის გრძნობა, როგორც
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი
ეთნიკური იდენტობის
ფორმირების/შენარჩუნების პროცესში*

თავში ჩამოყალიბებულია რამდენიმე კონკრეტული ჰიპოთეზა, რომლებზეც ორიენტირებულია სავლე კვლევის შედეგად მოპოვებული მასალის რელევანტური მეცნიერული თეორიების საფუძველზე განხორციელებული ანალიზი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები დეპორტირებული მესხებისთვის, გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური იდენტობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესში; მათი დამოკიდებულება ისტორიული სამშობლოსადმი თავსდება ადგილისა და სივრცის თეორიების ჩარჩოში და აიხსნება ირვინ ალტმანის ადგილთან მიჯაჭვულობის კონცეფციით; დეპორტირებული მესხების შემთხვევაში სივრცე/ადგილი, რეალური ან წარმოსახვითი მეხსიერების შესაბამისად, განსხვავებულია და შესაძლებელია მისი კატეგორიზება. გამოიყოფა ცალკეული მარკერები, რომლებიც განსაზღვრავენ გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას. კერძოდ: კონკრეტული ემოციები, რომელიც დაკავშირებულია სამცხე-ჯავახეთთან, წარმოსახვა, მეხსიერება, ფესვები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებ მოცემულ თავშია მსჯელობა, არის მეხსიერების პრაქტიკებთან დაკავშირებული თეორიები, განსაკუთრებით გაზიარებული ტრავმის როლი და მნიშვნელობა იდენტობის შენარჩუნების/გააქტიურების თვალსაზრისით. სავლე მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ გაზიარებული ტრავმის გაცოცხლება შესაძლოა წარმოადგენს იდენტობის გააქტიურების ერთ-ერთ მექანიზმს.

IV თავი ქალის/ დედის როლი ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესში

მოცემული თავის ჰიპოთეზა, რომლის დადასტურებაზეა ორიენტირებული მსჯელობა, მიმართულია ქალის/დედის როლის წარმოჩენაზე ეთნიკური მიკუთვნებულობის ჩამოყალიბების, შენარჩუნების ან შეცვლის პროცესში. კვლევითი საკითხის სპეციფიკის შესაბამისად ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ნაციონალიზმის თანამედროვე ფემინისტურ მოძღვრებაზე; საველე კვლევების შედეგად მოპოვებული მასალა გაანალიზებულია ნირა იუვალ დევისის და ფლოია ანთიასის თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც ეთნიკურ/ეროვნულ პროცესებში ქალის მონაწილეობის 5 გზას გამოყოფს. აქედან დეპორტირებულ მესხებში შესაბამისი მიმართულებით ჩატარებული კვლევის მონაცემებმა დაადასტურა ქალის/დედის მნიშვნელობა იდენტობის შენარჩუნების ან ცვლილების პროცესში სამი მარკერის შესაბამისად: ეთნიკურ/ეროვნულ ჯგუფებს შორის საზღვრების რეპროდუქცია, კულტურის გადაცემა და კოლექტივის ცენტრალური იდეოლოგიის რეპროდუქციაში მონაწილეობა, ეთნიკური/ეროვნული კატეგორიების გარდაქმნა და რეპროდუქცია.

V თავი სოციალური და კულტურული საზღვრების როლი დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის

ფორმირების/ შენარჩუნების პროცესში (სამხრეთი საქართველოს მაგალითი)

სოციალური და/ან კულტურული საზღვრების არსებობის და მათი საფუძვლის დასადგენად დეპორტირებულ მესხებში და სამხრეთ საქართველოში მათი განსახლების ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობაში ჩატარდა სავიწრო კვლევები, რომლის დროსაც გამოიკითხა ახალციხის, ახასთუმნის, მუგარეთის, კლდის, უდესა და არლის, როგორც დეპორტირებული მესხები ასევე ადგილობრივი მოსახლეობა, ჩაიწერა 30 ინტერვიუ და მოხდა მათი კატეგორიზაცია. კვლევამ აჩვენა, რომ შიდა ჯგუფურ დონეზე სოციალური საზღვრების საფუძველს ქმნის კონკრეტული წინაპრის ეთნიკური კუთვნილების შესახებ ცოდნა, თუმცა გადატანილი ტრავმები და მიღებული ტრავმა უფრო დიდ სოლიდარობის გრძნობას იწვევს. შესაბამისად, მათთვის ჯგუფის წევრობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ეთნიკური კუთვნილება. ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, რის საფუძველსაც ქმნის პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის ამ ტერიტორიასთან კავშირის ისტორია (არიან თუ არა ისინი მკვიდრი ადგილობრივები) და, შესაბამისად, გააჩნიათ თუ არა ამასთან დაკავშირებული ისტორიული მეხსიერება და/ან ნარატივი. მასთან კორელაციაშია სოციალური და/ან კულტურული საზღვრების განმაპირობებელი ფაქტორებიც.

დასკვნა

კვლევით ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხორციელებული საველე კვლევით მოპოვებული მონაცემების ანალიზმა და შესაბამის თეორიულ პოზიციებთან შეჯერებამ დაადასტურა ნაშრომის ფორმატში ფორმულირებული ძირითადი ჰიპოთეზების მართებულობა. კერძოდ: მოპოვებული საველე მასალა(დეპორტირებული მესხების “ცხოვრების ისტორიები“) აჩვენებს, რომ ჯგუფის ისტორია, მისი ისტორიული მეხსიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესის, მისი შენარჩუნების, დაცვის თუ ცვლილების თვალსაზრისით. დეპორტირებული მოსახლეობის ისტორიული მეხსიერება ძირითადად შემოიფარგლება დეპორტაციის აქტით, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის გამაერთიანებლის ფუნქციას ასრულებს, თუმცა სხვადასხვა კატეგორიის ემოციასთან არის დაკავშირებული, რაც ადასტურებს ვანგის მოსაზრებას, რომ არ არის აუცილებელი ტრავმა მიიღოს ან განიცადოს ჯგუფის ყველა წევრმა, თუმცა მნიშვნელოვანია დადგინდეს რაღაც მოვლენა, რომელიც შემდგომში განისაზღვრება სოციალური ტრავმის მიზეზად და დროის რაღაც მონაკვეთში, ფართოდ გაიზიარებენ ჯგუფის წევრები (ჯანგ ვანგი, 2018, გვ. 57-73). დადასტურდა, რომ დეპორტირებული მესხების მიერ მიღებულ და დაჯერებულ ისტორიულ ნარატივს მნიშვნელოვანი როლი აკისრია იდენტობის შენარჩუნების პროცესში და მათ მიერ ინტერპრეტირებული ისტორია განმსაზღვრელია საკუთარი თავისა თუ ჯგუფის წევრების ეთნიკური მიკუთვნებულობის აღქმისას. მიუხედავად იმისა, რომ დეპორტირებული მესხების ისტორია მრავალმხრივ ინტერპრეტირებულია, როგორც სამეცნიერო

საზოგადოების, ისე ჯგუფის წევრების მიერ, ამ ისტორიულ ნარატივებში მაინც არსებობს ისეთი კომპონენტები/ მოვლენები, რომელიც დეპორტირებული მესხებისთვის გამაერთიანებლის როლს ასრულებს. ამ მოსახლეობაში შიდა ჯგუფურ დონეზე სუსტ, მაგრამ მაინც ერთგვარი საზღვრის როლს ასრულებს ოჯახის პოზიცია ეთნიკური წარმომავლობის საკითხთან მიმართებით, თუმცა საერთო ისტორიული მეხსიერება, ტრავმა, რელიგია და ენა უფრო ძლიერი გამაერთიანებელი ფაქტორებია; შესაბამისად, მათთვის ჯგუფის წევრობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ეთნიკური კუთვნილება;

ჯგუფური იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ერთგვარი განცალკევებულობა დანარჩენი მოსახლეობისგან და გარკვეული სოციალური და კულტურული საზღვრების არსებობა მათთან. ასეთი საზღვრების ფუნქციას, უმეტესწილად, ასრულებს რელიგია და ქორწინების ტრადიცია. თავისებურ კულტურულ საზღვარს ეთნიკურად ქართველ ადგილობრივ მოსახლეობასა და დეპორტირებულ მესხებს შორის ქმნის მათ მიერ ქართული ხასიათის და, შესაბამისად, ქართული კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტებად მიჩნეული სუფრის, ღვინის სმისა და სადღეგრძელოს ტრადიციის არარსებობა დეპორტირებულ მესხებში .

ქალის/დედის როლი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორია დეპორტირებულ მესხებში იდენტობის ფორმირების პროცესში და სამი ძირითადი მარკერით იდენტიფიცირდება:

პირველი-ქალი ასრულებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის რეპროდუქტორის ფუნქციას, რაც გამყარებულია დეპორტირებულ მესხებში არსებული და დღემდე შენარჩუნებული ქორწინების ტრადიციით და ამ გზით

ხდება არა მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული საზღვრების რეპროდუქცია, არამედ სწორედ დედის ეთნიკური პოზიცია, ხშირად გადამწყვეტი ხდება ოჯახის წევრების იდენტობის ფორმირებისთვის.

მეორე- ქალი, როგორც კულტურის გადამცემი მონაწილეობს კოლექტივის ცენტრალური იდეოლოგიის რეპროდუქციაში. სავლელე კვლევებით მოპოვებული მასალის მნიშვნელოვან ნაწილში დასტურდება ქალის/ დედის/ ბებიის იდენტობის მნიშვნელობა შვილების ეთნიკური ორიენტაციის ფორმირების პროცესში , რაც, თავის მხრივ, კოლექტივის ცენტრალური იდეოლოგიის ფორმირების საფუძველს ქმნის;

მესამე- მისი როლი ეთნიკური/ეროვნული კატეგორიების გარდაქმნასა და რეპროდუქციაში დასტურდება, როგორც იმ მასალით, სადაც იკვეთება მისი გავლენა ოჯახის წევრების იდენტობის განსაზღვრაში, ასევე იმ ოჯახის მაგალითითაც, სადაც ეთნიკური თვითაღქმის ცვლილება ქალის/დედის გავლენით მოხდა.

წარსულის ნეგატიური მოვლენები შეიძლება წარმოადგენდეს გამაერთიანებელი ფუნქციის მქონე მექანიზმს ჯგუფის იდენტობის თვალსაზრისით. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, დეპორტაციის პროცესთან ასოცირებული საერთო ტრავმის მნიშვნელობა სხვადასხვა თაობის დეპორტირებულ მესხებში, რომელსაც კოლექტიური მეხსიერების მაიდენტიფიცირებლის კონტექსტში განვიხილავ, რამდენადაც ის ჯგუფის წევრებს შორის უსამართლობის კოლექტიურ განცდას იწვევს და, მეორე მხრივ, დეპორტირებულ მესხებში დადასტურებული ისტორიული სამშობლოს მონახულების ტრადიცია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრავმის გაცოცხლების ერთ-ერთი მექანიზმი;

დეპორტირებული მესხების დამოკიდებულება ისტორიული სამშობლოსადმი თავსდება ადგილისა და სივრცის თეორიების ჩარჩოში და შეიძლება ალტმანის ადგილთან მიჯაჭვულობის კონცეფციის საფუძველზე აიხსნას;

დასტურდება ცალკეული მარკერები (კონკრეტული ემოციები, რომელიც დაკავშირებულია სამცხე-ჯავახეთთან, წარმოსახვა, მეხსიერება, ფესვები), რომლებიც განსაზღვრავენ გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას. სწორედ ამასთან კავშირში და ამ გრძნობით განპირობებულად შეიძლება განვიხილოთ წარმოსახვები, მეხსიერება და სენტემენტალური გრძნობები, როგორც ფესვებისადმი, ასევე, ზოგადად, მამა-პაპისეული სახლ-კარის მიმართ ანუ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ქმნიან საფუძველს გეოგრაფიულ არეალთან მიჯაჭვულობის მყარი განცდის ჩამოსაყალიბებლად. გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა კი, თავის მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეთნიკური იდენტობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესში.

General description of the thesis

Actuality of the topic

The actuality of the research problem is conditioned by the following fact: when Georgia joined the Council of Europe in 1999, it took responsibility to implement the process of repatriation and integration of the deported Meskhetians. The mentioned responsibility has not been fulfilled in a timely manner or has been fulfilled with some shortcomings. Accordingly, the state still faces the problem of integration of the deported Meskhetians in the society, the peculiarities of their identity still remaining one of the defining components in the integration process.

Aim and objectives of the research

The aim of the research is: to bring the empirical research data in compliance with the theoretical scientific viewpoints; to identify the main factors /markers conditioning the formation, change or maintenance of identity in the deported and repatriated Meskhetians; to identify / categorize the mentioned markers in the process of maintaining and /or changing the identity of repatriates according to definite values and specific functions; to bring the obtained data into the relevant scientific-theoretical framework.

The research is based on the following hypotheses:

Personal or group history, in the context of regional and world history, can be understood and analyzed as one of the important factors in terms of the process of formation, preservation, protection or change of ethnic identity.

The historical narrative adopted and accepted by the deported Meskhetians plays an important role in the process of identity preservation;

The history they interpret is decisive in their perception of the ethnicity of themselves or members of a group;

The role of the mother is one of the important factors in the process of identity formation in the deported Meskhetians;

Negative events of the past can be thought of as one of the unifying mechanisms for maintaining a group identity;

An important factor in maintaining identity is the geographical area and the emotions associated with it; Space / place, according to real or imaginary memory, is different in different groups of the deported population and it can be categorized according to separate markers determining the sense of belonging to the geographical area in the deported Meskhetians;

The existence of social and / or cultural boundaries with the local population plays a role in maintaining the group's identity.

Scientific novelty and main results of the research

The issue of the deported Meskhetians has repeatedly been the object of study from various points of view, however, the peculiarities of their identity have not been practically explored from a multifaceted perspective.

The scientific novelty of the paper is that the problem of identity of the deported Meskhetians is understood as a multifaceted phenomenon and is studied from a multifaceted perspective: Historical memory (real or imaginary), attitude towards place and space, meaning of emotions (positive and negative) in the context of identity, the function of woman / mother in the process of identity formation, maintenance or change.

Theoretical and methodological foundations of the research

The concepts explored as a result of the analysis of scientific theories and approaches important for understanding the identity of the deported Meskhetians, have been identified and categorized according to the individual identity markers (importance of place and space, historical memory (collective / individual, the role of woman / mother), their experience) as well as according to their relevance.

The identity of the deported Meskhetians is not conceived in the format of a nationalist or sedentary paradigm, therefore, the basis of the research is the assumption that members of this group may have not only different identities but also different backgrounds. Methodologically the research is perceived within the premises of the category of qualitative research. The constructivist / primordial viewpoint is used as the basic methodological approach, and the triangulation approach making the research results scientifically more relevant, is considered the basis of data collection and analysis.

The problem is studied from different perspectives.

Consequently, different methods (historical-comparative, correlation, micro-historical method, biographical-narrative interview, in-depth interview and life history) are applied.

Theoretical value of the research

The issue of formation / maintenance and / or change of the identity of the deported Meskhetians (on the example of South Georgia) is studied from a multifaceted perspective; Relevant concepts for the study of the identity of the deported Meskhetians are identified and categorized according to important markers in the context of identity.

The research presents a recent study of the determinants of the identity of the deported Meskhetians from the prism of modern theories of identity / ethnicity from a non-nationalist and / or sedentary position.

Added to everything else, launching into scientific circulation the original field research material presented in the work is valuable for the scientists showing interest in the research problem.

Practical value of the research

The results obtained from the complex research of the issue will make some contribution to a more rational, reasoned and realistic understanding of the problems related to the integration of the deported Meskhetians into society.

In addition, the results obtained can be used to prepare some recommendations for identifying / resolving problems with the deported Meskhetians.

Structure and volume of the work

The work consists of 155 pages and comprises an introduction, five chapters and a conclusion. Bibliography, the list of respondents and the excerpts from interviews are included.

Introduction

The introduction of the work substantiates the actuality of the research issue, sets out the main purpose of the research and the set and implemented tasks; the methodological basis and the novelty of the research are defined; the orientation questions formulated for the field research are given and the main hypotheses of the research paper are formulated.

Chapter I - Review of scientific theories and literature related to the research problem

On the initial stage of the work the theoretical framework, the scientific works related to the research problem belong to, was defined;

The fields related to the hypotheses formulated in the research have been identified. While analyzing the scientific literature the focus of the research was diverted on the mentioned fields.

First, the scientific theories related to identity in general are discussed (Hobsbawm, Brubecker, Van den Berghe, geertz, Weber, Gellner, Barth, Anderson, etc.); the works and positions of E. Soya, G. Derek, J. Appadurai are presented in terms of place

and space concepts; the specifics of study of the issue by the Georgian researchers and the main viewpoints regarding the origin of the deported Meskhetians, the nature of their identity and deportation / repatriation (A. Jokhadze, M. Beridze, Lomsadze, Janiashvili, Sh. Putkaradze, V. Modebadze and others) are presented; Relevant considerations for determining the function and significance of the factor of memory (historical, collective, individual) in the process of identity formation are analyzed based on the works of I. Lotman, M. Foucault, R. Eyerman, A. Assmann, T. Halbwachs, B. Schwartz, J. Wang, L. Malkki; the theories on the significance of the role of woman / mother in the formation / maintenance of identity are discussed in the context of feminist theories; the views of Trin Min-ha, Racoppi, L. & O'Sullivan are presented. However, special attention is paid to the scientific work of Nira Yvas-Davis and Floya Anthias which presents the most obvious ways of women's participation in the ethnic processes. The field material related to this issue was analyzed considering the mentioned ways.

Chapter II – The History of the Deported Meskhetians

The history of the deported Meskhetians is presented in specific subsections and includes: a brief overview of the history of the region and its population from the VI century to the period of the deportation of the Meskhetians as well as the deportation process and its consequences; the Fergana tragedy and its causes are discussed, eyewitness accounts of these events are included, and statistics on the tragedy are presented; the country's obligations

regarding the repatriation of the deported population to Georgia, the state of their implementation and the problems related to the repatriation process, mixed attitude of the Georgian society towards the repatriation of the deported Meskhetians are discussed in the separate subchapter.

A separate subchapter is devoted to the legal status of the deported population. The same chapter presents the narratives related to the ethnic origins of the deported Meskhetians, in particular, their historical memory, perception and interpretation of history, which is analyzed from the perspective of a postmodernist view of history. The compliance of the mentioned phenomena with the Lotman's view on the so-called unrealized / rejected sociopolitical models is identified.

Chapter III – The Sense of Belonging to a Geographical Area as One of the Important Factors in the Formation / Preservation of Ethnic Identity

Several specific hypotheses focused on the analysis of the material obtained from the field research, are formulated in the chapter; the results of the research show that for the deported Meskhetians, living in the territory of Samtskhe-Javakheti, the sense of belonging to the geographical area is one of the important factors in the process of formation and preservation of ethnic identity; their attitude towards the historical homeland is placed within the framework of theories of place and space and is explained by Irwin Altman's concept of attachment to place; In

the case of the deported Meskhetians, according to real or imaginary memory, the space / place is variable and can be categorized.

There are certain markers defining the sense of belonging to a geographical area, namely: specific emotions related to Samtskhe-Javakheti, imagination, memory, origins.

One of the important issues discussed in this chapter is theories related to memory practices, especially the role and importance of the shared trauma in terms of maintaining / activating identity. Field material analysis confirmed that resuscitation of the shared trauma may be one of the mechanisms of identity activation.

Chapter IV - The Role of a Woman / Mother in the Process of Forming an Ethnic Identity

The hypothesis of this chapter, which is supported by the reasoning, is aimed at presenting the role of a woman / mother in the process of establishing, maintaining or changing ethnicity. According to the specifics of the research issue, the focus is mainly on the modern feminist doctrine of nationalism; The material obtained from the field research is analyzed based on the theory of Nira Juval Davis and Floya Antias, which distinguishes 5 ways of women's participation in ethnic / national processes. The data obtained by the survey of the deported Meskhetians evidenced the importance of women / mothers in the process of maintaining or changing their identity according to the three markers: reproduction of boundaries between ethnic / national groups, cultural transmission and participation in the reproduction of the central ideology of the group, transformation and reproduction of ethnic / national categories.

Chapter V - The Role of Social and Cultural Boundaries in the Formation / Preservation of the Ethnic Identity of the Deported Meskhetians (the Example of Southern Georgia)

To determine the existence of social and / or cultural boundaries and their basis, field surveys were conducted in the deported Meskhetians and locals living in their area of southern Georgia. During the survey 30 interviews of the deported Meskhetians as well as the locals living in Akhaltsikhe, Abastumani, Mugareti, Kldi, Ude and Arli were recorded; the interviews were categorized.

The survey Research has shown that the knowledge about the ethnicity of a particular ancestor molds the basis for social boundaries at the intra-group level, although the tragedy and the trauma endured lead to a greater sense of solidarity.

Consequently, group membership is more important to them than ethnicity. The attitudes of the local population are mixed, based primarily on the history of the local population's connection to the area: (whether they are indigenous) whether they have a historical memory and / or narrative related to it. The factors determining social and / or cultural boundaries are also correlated with it.

Conclusion

The analysis and reconciliation of the obtained data with the relevant theoretical viewpoints confirmed the validity of the main hypotheses formulated in the research. In particular, the obtained field material ("life stories" of the deported Meskhetians) shows that the history of the group, its historical memory is one of the important factors in terms of the process of formation, preservation, protection or change of ethnic identity.

The historical memory of the deported population is largely confined to the deportation act, which serves as a unifier between group members, although it is associated with different categories of emotion, confirming Wang's view that not all members of the group need to be traumatized or suffered. The cause of social trauma, at some point in time, will be widely shared by group members (Zhang Wang, 2018, pp. 57-73).

It has been proven that the historical narrative adopted and accepted by the deported Meskhetians plays an important role in the process of identity preservation, and the history interpreted by them is decisive in the perception of the ethnicity of themselves or members of a group. Although the history of the deported Meskhetians has been interpreted in many ways by both the scientific community and members of the group, there are still components / events in these historical narratives that act as a unifier for the deported Meskhetians. At this group level, the family's position on the issue of ethnicity plays a weak but still somewhat borderline role, although common historical memory, trauma, religion, and language are stronger unifying factors; Consequently, group membership is more important for them than ethnicity; one of the mechanisms for maintaining a group identity is a kind of separation from the rest of the population and the existence of certain social and cultural boundaries with them.

The function of such boundaries is mostly performed by religion and the tradition of marriage. The lack of a table, wine-drinking and toast tradition considered by them to be of Georgian character and, consequently, considered by them to be an important component of the Georgian culture, creates a peculiar cultural boundary between the ethnic Georgian locals and the deported Meskhetians.

The role of a woman / mother is one of the important factors in the process of identity formation in the deported Meskhetians and is identified by the three main markers:

The first marker – a female performs the reproductive function between ethnic groups, which is reinforced by the existing marriage tradition in the deported Meskhetians and thus reproduces not only the boundaries between ethnic groups, but also the mother's ethnic position, often crucial to the identity of family members.

The second marker - the woman as a transmitter of culture participates in the reproduction of the central ideology of the group. A significant part of the material obtained from the field research confirms the importance of the identity of the woman / mother / grandmother in the process of forming the ethnic orientation of the children, which, in turn, forms the basis for the formation of the central ideology of the team;

The third marker - its role in the transformation and reproduction of ethnic / national categories is evidenced both by the material that shows its influence in determining the identity of family members and by the example of the family where the change in ethnic identity was influenced by a woman / mother. Negative events in the past may be a mechanism with a unifying function in terms of group identity. This is confirmed, on the one

hand, by the importance of the general trauma associated with the deportation process in different generations of the deported Meskhetians, which we consider in the context of the identifier of a collective memory, as it evokes a collective sense of injustice among group members and, on the other hand, by the tradition of visiting the historical homeland evidenced in the deported Meskhetians, which can be considered as one of the mechanisms of reviving the trauma;

The attitude of the deported Meskhetians towards the historical homeland is placed within the framework of theories of place and space and can be explained on the basis of Altman's viewpoint on the attachment to place. Individual markers (specific emotions related to Samtskhe-Javakheti, imagination, memory, origins), defining the sense of belonging to a geographical area, are evidenced.

Imagination, memory and sentimental feelings towards the origins, as well as towards the patriarchal house in general, or the main factors forming the basis for a strong sense of belonging to a geographical area, can be considered to be determined by this feeling.

A sense of belonging to a geographical area, in turn, is one of the most important factors in the process of forming and maintaining an ethnic identity.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

Publications:

წერეთელი, მ. (2016). *იდენტიფიცირების „მე და ისინი“ თავისებურებანი კულტურათაშორისი ურთიერთობის პროცესში*, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
Tsereteli, M. (2016). The Peculiarities of the Identification “I and they” in the Process of Intercultural Relationship, the University of Georgia

წერეთელი, მ. (2014). *დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის პრობლემა (სამხრეთ საქართველოს მაგალითი)*, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
Tsereteli, M. (2014). The Issues of the Ethnic Identity of the Deported Meskhetians (South Georgia)

წერეთელი, მ. (2013). *დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის პრობლემა (დასავლეთ საქართველოს მაგალითი)* - სტატია კრებულში - დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდლობა , თბილისი

Tsereteli, M. (2013). The Issues of the Ethnic Identity of the Deported Meskhetians (West Georgia) - published in the international conference materials – The Deported Meskhetians – The Past and The present, Tbilisi